

# გზამკვლევი სასამართლო ლაბორინთებში

ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს სასამართლო  
ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის  
რეფორმის პროექტი

2009

მოცემული გზამკვლევი დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის მიერ. გზამკვლევი მომზადებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

## კვირფასო თანამოქალაქნო,

დემოკრატიული და მიუკერძოებელი საზოგადოება საჭიროებს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც არა მხოლოდ დაფასებული იქნება მოქალაქეების მხრიდან, არამედ იქნება გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომიც.

მხოლოდ ასეთი სასამართლოს მიმართ გაუჩნდებათ მოქალაქეებს ნდობა და პატივისცემა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

სასამართლოში მოსულმა ნებისმიერმა მოქალაქემ თავი დაცულად და კომფორტულად უნდა იგრძნოს. სამართალწარმოების ლაბირინთებში გარკვევა მოქალაქეებს სასამართლო პერსონალის კვალიფიციურმა პასუხებმა უნდა გაუადვილოს. მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთერთი მთავარი მიმართულებაა ხომ საზოგადოებასა და სასამართლოს შორის გამჭვირვალე და ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაა, ეს კი, პირველ რიგში, მოქალაქეების სასამართლოსთან ურთიერთობის გაადვილებით მიიღწევა. სასამართლო ხელისუფლება ბევრს აკეთებს სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად, დაგეგმილია ტრენინგების ჩატარებაც კომუნიკაციის სფეროში.

ბროშურა, რომელსაც ამჯერად წარმოგიდგენთ, სწორედ ამ ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული კიდევ ერთი, და ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

გზამკვლევი სასამართლო ლაბირინთებში – ასე შეიძლება ეწოდოს ამ გამოცემას, რომელიც გაგიწევთ პირველ დახმარებას სასამართლოსთან ურთიერთობის დროს.

ჩვენ შევეცადეთ მარტივად, თქვენთვის გასაგები ენითა და ფორმით აგვეხსნა ის იურიდიული საკითხები, რომლებიც სასამართლო ზღურბლის გადალახვისთანავე ნებისმიერი თქვენგანის წინაშე შეიძლება დადგეს.

მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბებული პასუხები, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გაგიადვილებთ სასამართლოსთან ურთიერთობას და სასამართლო შენობიდან გასვლის შემდეგ აღარ გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ დაიღალეთ უამრავ წერილმან კითხვაზე სხვადასხვა კანცელარიაში პასუხის ძიებით.

გზამკვლევის დახვეწა და მასში ახალი კითხვა-პასუხის შეტანა ისევ თქვენი ინტერესების გათვალისწინებით მოხდება. ჩვენ ასევე გავითვალისწინებთ თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს.

დასასრულს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ საქართველოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტს გზამკვლევის მომზადებისა და გამოცემის მხარდაჭერისათვის.

### კონსტანტინე კუგლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



## კანონმდებლობით რა ვადებია დადგენილი საქმის განხილვისა და განსაჩივრებისათვის?

1

### სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, როგორც წესი, საქმეებს განიხილავენ სასარჩელო განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვემდე. გამონაკლისია ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეები, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმის განხილვის ვადა უშუალოდ საქმის განხილვასთან ერთად ასევე მოიცავს სხვადასხვა პროცედურას, რომელთა განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება. კერძოდ, როდესაც სარჩელი არ არის სრულყოფილი, სასამართლო ადგენს ხარვეზს და განჩინებას უგზავნის მოსარჩელეს, ამავდროულად ხარვეზის შესავსებად შესაბამის ვადას უდგენს, რომელიც აითვლება მხარისათვის განჩინების ჩაბარების დღიდან. განჩინების ჩაბარება კი გარკვეულ

დროს მოითხოვს. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო სარჩელის ასლს უგზავნის მოპასუხეს და უნიშნავს შესაგებლის წარდგენისთვის შესაბამის ვადას, ხოლო შესაგებლის წარდგენის შემდეგ მისი ასლი ეგზავნება მოსარჩელეს. საკმაოდ მნიშვნელოვანი დრო ეთმობა სასამართლო უწყებების ჩაბარებას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჩაბარება ვერ ხერხდება არაზუსტი მისამართის ან სხვა მიზეზის გამო და სასამართლო იძულებულია, უწყება გაგზავნოს არაერთხელ. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდეგში – სსკ) ითვალისწინებს საქმის განხილვის გადადების შესაძლებლობას შეგებებული სარჩელის დაგვიანებით წარდგენისას ან სხვა საფუძვლით. მითითებული საპროცესო მოქმედებები მნიშვნელოვან დროს მოითხოვს და ზოგჯერ საქმის განხილვის ვადის უმეტეს ნაწილსაც კი იკავებს, რის შედეგადაც საქმის არსებითად განხილვისთვის საკმაოდ მცირე ვადა რჩება, თუმცა სასამართლომ უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა პროცესი არ გაჭიანურდეს და საქმის განხილვა მოხდეს კანონით დადგენილ ვადებში.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება.

თუ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

თუ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის

შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეები განიხილება საკასაციო საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის კონკრეტული ვადა დადგენილი არ არის. თუმცა საქმის განხილვის ვადა უნდა იყოს გონივრული და გამომდინარეობდეს განსახილველი საქმის სირთულიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ საპატიმრო ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს პირის დაკავების მომენტიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი საჩივრდება განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში უფლება აქვს, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება, საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს პროკურორს დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეები განიხილება საკასაციო საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.



## **როგორ ნაწილდება საქმეები მოსამართლეებს შორის? შეიძლება თუ არა, მოვითხოვო საქმის განაწილება კონკრეტულ მოსამართლეზე?**

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები და სხვა მასალები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შემოსვლის თანამიმდევრობის მიხედვით.

სასამართლოში საქმეების განაწილების მიზნით მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში - მომდევნო ასოს მიხედვით.

შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს.

მოსამართლეთა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია, ხელახლა განსაზღვროს მოსამართლეთა რიგითობა.

კანონმდებლობით დაუშვებელია რომელიმე კონკრეტულ მოსამართლეზე საქმის განაწილების მოთხოვნა.



## როგორ გავიგო, თუ რა სტადიაზეა ჩემი საქმე და როდის არის დანიშნული პროცესი?

3

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. მხარეებს შეუძლიათ ასევე თავად მიიღონ ინფორმაცია საქმის განხილვის მიმდინარეობის შესახებ. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, ისე მოსამართლის თანაშემწისგან. მას შემდეგ, რაც მხარეთათვის სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით ცნობილი გახდება, თუ რომელ მოსამართლეს გადაეცა კონკრეტული საქმე, მათ შეუძლიათ, ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდნენ მოსამართლის თანაშემწეს.

სასამართლოში შესული საქმის განაწილებისა და მდგომარეობის, სხდომათა ყოველკვირეული გრაფიკების, სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა საკონტაქტო ინფორმაციის და სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, კერძოდ:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო – [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო – [www.tbilisiappeal.court.gov.ge](http://www.tbilisiappeal.court.gov.ge)
3. თბილისის საქალაქო სასამართლო – [www.tcc.gov.ge](http://www.tcc.gov.ge)
4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო – [www.kutaisiapp.court.gov.ge](http://www.kutaisiapp.court.gov.ge)
5. რუსთავის საქალაქო სასამართლო – [www.rustavi.court.gov.ge](http://www.rustavi.court.gov.ge)
6. ქუთაისის საქალაქო სასამართლო – [www.kutaisi.court.gov.ge](http://www.kutaisi.court.gov.ge)

7. ბათუმის საქალაქო სასამართლო – [www.batumi.court.gov.ge](http://www.batumi.court.gov.ge)
8. თელავის რაიონული სასამართლო – [www.telavi.court.gov.ge](http://www.telavi.court.gov.ge)
9. მცხეთის რაიონული სასამართლო – [www.mtskheta.court.gov.ge](http://www.mtskheta.court.gov.ge)
10. გორის რაიონული სასამართლო – [www.gori.court.gov.ge](http://www.gori.court.gov.ge)
11. ხაშურის რაიონული სასამართლო – [www.khashuri.court.gov.ge](http://www.khashuri.court.gov.ge)
12. საჩხერის რაიონული სასამართლო – [www.sachkhere.court.gov.ge](http://www.sachkhere.court.gov.ge)
13. ზუგდიდის რაიონული სასამართლო – [www.zugdidi.court.gov.ge](http://www.zugdidi.court.gov.ge)
14. ზესტაფონის რაიონული სასამართლო – [www.zestafoni.court.gov.ge](http://www.zestafoni.court.gov.ge)



## **მაქვს თუ არა უფლება, შევხვდი მოსამართლეს ან ტელეფონით ვესაუბრო მას მის წარმოებაში არსებულ საქმეზე? თუ არა, ვის შევხვდი?**

კანონმდებლობით აკრძალულია მოსამართლეებთან მხარეების შეხვედრა. მოსამართლე მხარეებს უნდა შეხვდეს მხოლოდ სასამართლო პროცესზე. მოქალაქე, თავის საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება შეხვდეს მხოლოდ თანაშემწეს.

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 11 ივლისს მიიღო კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“, რომელიც მოქმედებს 2007 წლის 11 აგვისტოდან.

ამ კანონის მიხედვით, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე აკრძალულია პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა და საჯარო მოსამსახურეთა მოსამართლესთან ურთიერთობა.

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით ურთიერთობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ჯარიმას და სხვა სახის ღონისძიებებს.





## როგორ დავუკავშირდეთ მოსამართლის თანაშემწეს?

5

საერთო სასამართლოებში გათვალისწინებულია მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა, რომელიც იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომებზე განსახილველად. მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირება ხდება სასამართლოს შენობის პირველ სართულზე განთავსებული მოქალაქეთა მისაღებიდან, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სასამართლოს თანამშრომელთა საკონტაქტო ინფორმაციები, როგორც შიდა, ისე ქალაქის ნომრის მითითებით. გარდა ამისა, მოქალაქეს სახლიდან გაუსვლელად, თუ მას ჩართული აქვს ინტერნეტ მომსახურება, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ([www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)) შეუძლია მოძებნოს შესაბამისი სასამართლოს ინტერნეტ მისამართი და შესაბამის განსახილველ საქმეთა განრიგი (იხ. კითხვა №3).

## როგორ გავიგო, თუ რომელ დარბაზში მიმდინარეობს ესა თუ ის პროცესი? როდის დაიწყება სასამართლო სხდომა? შეიძლება თუ არა სხდომაზე დაგვინახვით შესვლა?

6

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელ დარბაზში და რომელ საათზე გაიმართება კონკრეტული სხდომა, ერთი კვირით ადრე განთავსდება ყველა სასამართლოში, თვალსაჩინო ადგილას. სხდომების შესახებ წინასწარ ინფორმაციის მოძიება ასევე შესაძლებელია შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მხარე ან სხდომაზე დასწრების მსურველი ნებისმიერი პირი სასამართლოში უნდა გამოცხადდეს სხდომის დაწყებამდე.

სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით შესვლა დაუშვებელია.

7

**მაქვს თუ არა უფლება, უფასო იურიდიული კონსულტაცია მივიღო სასამართლოში? დამეხმარებინან თუ არა განცხადებების/სარჩელების წერაში ან სასამართლო ფორმების შევსებაში?**

სასამართლო არ გასცემს კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებზე. უფასო იურიდიული დახმარების მიღება მოქალაქეს შეუძლია მხოლოდ ადვოკატთან ან საამისოდ სპეციალიზებულ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში.

სასამართლოს თანამშრომელს არ აკისრია ვალდებულება, დაეხმაროს მხარეს სასარჩელო ფორმის შევსებაში, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს კანცელარია ვალდებულია, შეამოწმოს სარჩელის ან განცხადების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარე და ფორმალური უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში სარჩელის ან განცხადების შემომტანს მიუთითოს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

8

**აქვს თუ არა სასამართლოს თავმჯდომარეს მიღების საათები, თუ არა, ვის მივმართო?**

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეს შეუძლია, წერილობით მიმართოს სასამართლოს თავმჯდომარეს, აპარატის უფროსს ან შესაბამისი მოსამართლის თანაშემწეს.



## **შეიქლება თუ არა მხარეების თხოვნით პროცესის ნაადრევად დანიშვნა და რა შემთხვევაში? რა შემთხვევაში არ შეიქლება?**

9

მხარეების თხოვნით სხდომის ნაადრევად დანიშვნა არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ საქმის მწარმოებელი ორგანო - სასამართლოა უფლებამოსილი, დანიშნოს სხდომა კანონით განსაზღვრულ ვადებში.

## **როდის და როგორ მეცნობება პროცესის დანიშვნის შესახებ? ტელეფონით დაბარების შემთხვევაში უნდა დაველოდო თუ არა უწყების გამომგზავნას? შემიქვია თუ არა, პროცესის დანიშვნის შესახებ უწყება მონინააღმდეგე მხარეს მე გადავცე?**

10

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ  
სამართალწარმოებაში:**

სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი სასამართლო უწყებით ეცნობება მხარეს ან მის წარმომადგენელს. წარმომადგენელი, თავის მხრივ, ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

სასამართლო უწყება, აგრეთვე, იგზავნება ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით.

სასამართლო თვითონ იღებს გადამწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა.

სასამართლო შეტყობინებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელეფონო შეტყობინების როლი. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ (ყველაზე ეფექტურს თუ არა) საშუალებას მხარეთა ინფორმირებისათვის.

სატელეფონო შეტყობინების (დაბარების) განხორციელების თაობაზე დგება შესაბამისი აქტი, რომელიც ჩაეკერება საქმეში და რომლითაც დასტურდება უწყების ჩაბარება. სპეციალური ტექნიკური მოწყობილობის დახმარებით შესაძლებელია, სატელეფონო შეტყობინების სადავოდ გახდის შემთხვევაში, მისი გაშიფვრა - შეტყობინების შინაარსის დადგენა.

უწყება სასამართლოში დასაბარებელ პირებს უნდა ჩაბარდეთ პირადად.

ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს.

თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდა დამატებით ერთხელ მაინც გაგზავნის შემდეგაც, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება და იარსებებს შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობაც. აღნიშნული წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მხოლოდ მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი არაა მოპა-

სუხის არც ამჟამინდელი და არც ყოფილი საცხოვრებელი ადგილი, არც მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და არც სამუშაო ადგილი - მაშინ სასამართლომ განუხილველად უნდა დატოვოს სარჩელი. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია, ასევე, მოსარჩელის მიერ თავისი მისამართის არასწორად მითითება.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ვალდებულია, მიუთითოს როგორც მისი, ასევე, მოპასუხის მისამართი. ამასთან, მას ევალება სწორი მისამართის მითითება. როგორც აღინიშნა, კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს არასწორი მისამართის მითითებისათვის.

მხარეებს ეკისრებათ არა მხოლოდ იმის ვალდებულება, რომ სწორად მიუთითონ თავიანთი მისამართები, არამედ მისამართის შეცვლისას ისინი ვალდებულნი არიან, აღნიშნულის თობაზე აცნობონ სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით - სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. ასეთ შემთხვევაში უწყება ითვლება ადრესატისთვის ჩაბარებულად.

აღსანიშნავია, რომ ადრესატმა შესაძლოა უარი განაცხადოს უწყების ჩაბარებაზე. კოდექსი ამ შემთხვევაშიც ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს. ადრესატის უარი უწყების მიღებაზე უთანაბრდება მის ჩაბარებას. თუ ადრესატი ან 74-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები (ოჯახის სრულწლოვანი წევრი ან სამუშაო ადგილის

ადმინისტრაცია) უარს ამბობენ უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის თანახმად, უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება, აგრეთვე, ტელეფონოგრამით, დეპუშით, რადიოგრამით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კავშირგაბმულობის საშუალებით დაკავშირების შემთხვევაში უწყების გაგზავნა აუცილებელი არ არის.

### **რატომ არ აქლევს მოსამართლე განსასჯელს ახლობლებთან შეხვედრის უფლებას პროცესის დამთავრებამდე?**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) მიხედვით, განაჩენის გამოცხადებისთანავე, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნით, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მისცეს მას ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრის ნებართვა. ე.ი. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულისათვის ახლობლებთან და ნათესავებთან შეხვედრის ნებართვის მიცემა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მხოლოდ ერთხელ, განაჩენის გამოცხადებისთანავე.



**რა შემთხვევაში ფორმდება  
საპროცესო შეთანხმება და ვინ  
აფორმებს? რა ვადაში? აქვს  
თუ არა მოსამართლეს უფლება,  
არ დაამტკიცოს საპროცესო  
შეთანხმება? შეიძლება თუ არა  
მისი გასაჩივრება?**

საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე.

საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (განსასჯელს), ისე პროკურორს.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო კამათის დაწყებამდე მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეებს შესთავაზოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების დადება.

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს შორის მიღწეული შეთანხმება.

გარდა ამისა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად.

მსჯავრდებულს, ამ კატეგორიის საქმეებზე განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში, უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება, საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

პროკურორს განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

## **რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვას დაზარალებულის ან მოწმის გამოუცხადებლობას?**

პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით იძახებენ გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ზუსტად დანიშნულ დროს. გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესის მონაწილე შეიძლება იძულებით მოიყვანონ, როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას. მოწმის ან დაზარალებულის იძულებით მოყვანა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანების (დადგენილების, განჩინების) საფუძველზე. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას პირს ეკისრება ჯარიმა 100-დან 500 ლარამდე ოდენობით.





## როგორ შეიქმნება საქმეზე არსებული ნივთმტკიცების დაბრუნება?

14

განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებაში ან დადგენილებაში ნივთიერ მტკიცებულებათა საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:

- თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს ღირებულება, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს;
- თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, ნადგურდება;
- სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, ხოლო დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით, მას გადაეცემა;
- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტს;
- დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, განსასჯელისა და იმ პირის გარდა, რომელთაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით საქმეზე არსებულ ნივთმტკიცებაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მესაკუთრეს ან მფლობელს, ნივთმტკიცება მესაკუთრეს (მფლობელს), როგორც წესი, დაუბრუნდება განაჩენის აღსრულებისას.

15

## აქვს თუ არა მშობელს ან ახლო ნათესავს განაჩენის ასლის მიღების უფლება?

სსსკ-ის 514-ე მუხლის თანახმად, განაჩენის ასლი გადაეცემა სახელმწიფო ბრალმდებელსა და მსჯავრდებულს ან გამართლებულს, ხოლო პროცესის სხვა მონაწილეს - მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე. თუ მშობელი და სხვა ახლო ნათესავი არ არის პროცესის მონაწილე, მას არა აქვს უფლება, მიიღოს განაჩენის ასლი.

16

## სად და როგორ ხდება გირაოს გადახდა, გირაოს დაბრუნება?

გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.

ფულადი თანხა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით - სხვა პირს.

ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ან განსასჯელი ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

17

## როგორ ხდება ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება და გადახდა? სად და რომელ ანგარიშზე შეიტანება შესაბამისი თანხა?

ჯარიმა გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას. ჯარიმის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს: — გაფრთხილება;

- იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებას წარმოადგენდა;
- იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებას წარმოადგენდა;
- მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა;
- გამასწორებელი სამუშაოები;
- ადმინისტრაციული პატიმრობა (30 დღემდე ვადით).

ადმინისტრაციულ ჯარიმას სამართალდარღვევს აკისრებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

ჯარიმის შეტანა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით განსაზღვრულ ანგარიშებზე იმ სამართალდარღვევის გათვალისწინებით, რომელზედაც მოხდა ჯარიმის დაკისრება.

ანგარიშის რეკვიზიტებს გასცემს შესაბამისი სასამართლოს მისაღები ან კანცელარია.

## **რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება კანონით დადგენილი ფორმის დარღვევით სარჩელის წარდგენას? რა შემთხვევაში დგინდება სარჩეო განცხადებაზე ან სარჩელზე და მისი შეუვსებლობა რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

კანონით დადგენილი ფორმის დარღვევით წარდგენილი სარჩელის სასამართლოში შეტანის შემთხვევაში, თუ მოსამართლე

გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი ან/და საქმეში არ არის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს გონივრულ ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

19

### **როგორ შევითანო სარჩელი სასამართლოში და რა საბუთები დავურთო მას?**

#### **სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოში სარჩელის შეტანის წესები დადგენილია საქართველოს სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლებით.

სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

სარჩელი (თუ იგი ფოსტით არ არის გაგზავნილი) მოსარჩელემ უნდა ჩააბაროს სასამართლოს კანცელარიის მისაღებში. სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს (ან მის წარმომადგენელს) მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

**სარჩელის ფორმალური მხარის შემოწმებისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:**

- 1) სარჩელის ფორმაში აღნიშნულია თუ არა შემდეგი რეკვიზიტები: სასამართლოს დასახელება, მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის, მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსანვევი სხვა პირის დასახელება და საკონტაქტო მონაცემები, ასევე, სურვილის შემთხვევაში — საკონტაქტო პირის მონაცემები, დავის საგანი, სარჩელის ფასი, მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა, ასევე, მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;
- 2) ერთვის თუ არა სარჩელს სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი და თუ არ ერთვის, შუამდგომლობის გრაფაში მითითებულია თუ არა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების, გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ;
- 3) ერთვის თუ არა სარჩელს თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;
- 4) თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს, ერთვის თუ არა სარჩელს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 5) არის თუ არა სარჩელი ხელმოწერილი;
- 6) წარდგენილია თუ არა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიცაა მოპასუხე.  
აღნიშნული შემოწმების შემდეგ სარჩელი ტარდება სასამართლოს რეგისტრაციის ჟურნალში და მოსარჩელეს ეძლევა რეგისტრაციის ნომერი.  
სარჩელის ფორმების მოძიება შესაძლებელია შესაბამისი სასამართლოს მისაღებში და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე – [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)



## **ვის სახელზე უნდა იქნეს შეტანილი სასარჩელო განცხადება? შეიძლება თუ არა აღნიშნული განცხადება ახლოგელმა შემოიტანოს?**

20

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

სასარჩელო განცხადება შემოდის სასამართლოს სახელზე, სასამართლოს კანცელარიაში სარჩელის ჩაბარება შეუძლია ნებისმიერ პირს, მხოლოდ იგი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

## **სად შეიტანება კერძო საჩივარი? რომელი სასამართლო იხილავს და რა ვადაში? როგორია მისი განხილვის წესი?**

21

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული განჩინება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

კერძო საჩივარს იხილავს გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს

ზემდგომი სასამართლო, რომელსაც კერძო საჩივარი გადაეგზავნება საქმესთან ერთად. ზემდგომი სასამართლო გამოიტანს განჩინებას კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში. განჩინება გამოიტანება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

## **როგორ ხდება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა? ვის უნდა მივმართო და რა ფორმით?**

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს განცხადებით თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღნიშნოს, თუ რა მიზნისათვის სჭირდება მას ამ ფაქტის დადგენა, ამასთან, განმცხადებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, რის გამოც განცხადებას თან უნდა დაერთოს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას სასამართლო განიხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, როგორცაა: პირთა ნათესაური კავშირის დადგენა, პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა, შვილად აყვანა, ქორწინებისა და განქორწინების ფაქტის დადგენა, უფლების დამდგენი საბუ-



თის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადია და განიხილება დაჩქარებული წესით.

## **როგორ გავიგო, რა ოდენობით უნდა გადავიხადო ბაჟი, რომელ ბანკში და რამდენია ბაჟის ოდენობა?**

23

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ბაჟის გადახდის წესი შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამართივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ; და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;
- ბ) შეგებებულ სარჩელზე;
- გ) მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;
- დ) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ;
- ე) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ;
- ვ) სააპელაციო საჩივარზე;
- ზ) საკასაციო საჩივარზე;
- თ) კერძო საჩივარზე;
- ი) განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
- კ) განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახ-

ლების ან გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;

ლ) აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებაზე.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს:

- ა) ზემოაღნიშნული ჩამონათვალის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;
- ბ) სააპელაციო საჩივრისათვის, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადანყვეტილებაზე (განჩინებაზე) – დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა;
- გ) საკასაციო საჩივრისათვის, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე (განჩინებაზე) – დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა;
- დ) კერძო საჩივარზე – 50 ლარს;
- ე) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 50 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს;
- ვ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 100 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს;
- ზ) გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე – 50 ლარს;
- თ) არაქონებრივ დავაზე – 100 ლარს; სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად, 150 და 300 ლარს;
- ი) დაკარგული საქმის წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე, როცა საქმის მასალები მხარის ბრალით დაიკარგა – 100 ლარს;
- კ) თამასუქის ან ჩეკის თაობაზე სარჩელზე – 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო

საჩივრებზე – შესაბამისად, 150 და 300 ლარს;

- ლ) უდავო წარმოების საქმეზე – 50 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად, 100 და 300 ლარს;
- მ) „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში მითითებული ოდენობის ნახევარს.

#### **სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:**

პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;
- ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს;

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს;
- ბ) იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს;

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს;
- ბ) იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს.

ბაჟის გადახდა შეიძლება საქართველოს ნებისმიერი ბანკის როგორც ცენტრალურ ოფისში, ასევე მის ფილიალებში.

სასამართლოს ანგარიშის რეკვიზიტები განთავსებულია ყველა სასამართლოს მისაღებში, თვალსაჩინო ადგილზე.

ამასთან, ანგარიშის რეკვიზიტები ცნობილია ყველა საბანკო დანესებულებისთვის.



## 306 თავისუფლება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან:

- ა) ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;
- ბ) მოსარჩელენი – სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;
- გ) მოსარჩელენი–სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;
- დ) ფიზიკური და იურიდიული პირები– მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;
- ე) მოსარჩელენი–სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;
- ვ) ფიზიკური პირები–სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;
- ზ) სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე

- გაცემული დახმარების ან პენსიის გად-  
ახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური  
უზრუნველყოფის ორგანოები – აგრეთვე  
სარჩელებზე არასწორად მიღებული  
დახმარებებისა და პენსიების შესახებ;
- თ) მოსარჩელე – დანაშაულით მიყენებული  
მატერიალური ზარალის ანაზღაურების  
შესახებ სარჩელზე;
- ი) მხარეები–საკასაციო საჩივრებზე  
განქორწინების საქმეების შეწყვეტის  
შესახებ;
- კ) შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც  
მოსარჩელები–სარჩელებზე იმ პირების  
ძებნასთან დაკავშირებული ხარჯების  
ანაზღაურების შესახებ, რომლებიც თავს  
არიდებენ აღიმენტებისა და სხვა მსგავსი  
თანხების გადახდას;
- ლ) სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო,  
საგადასახადო, საბაჟო და სხვა მაკონ-  
ტროლებელი ორგანოები, როგორც  
მოსარჩელები ან მოპასუხეები - სარ-  
ჩელებზე გადასახადების, მოსაკრე-  
ბლების, სახელმწიფო ბაჟისა და სხვა  
აუცილებელი გადასახდელების ბიუჯეტ-  
ში გადახდისა და ბიუჯეტიდან თანხების  
დაბრუნების შესახებ, აგრეთვე განსა-  
კუთრებული წარმოების საქმეებზე;
- მ) ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოე-  
ბრივი ორგანიზაციები, მათი დანესებ-  
ულებები, სასწავლო-საწარმო ორგა-  
ნიზაციები და გაერთიანებები–ყველა  
სარჩელზე;
- ნ) მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით  
რეგისტრირებული არიან სოციალურად  
დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან  
ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას,  
რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენ-  
ტაციით;
- ო) მოსარჩელენი–სარჩელებზე ისტორიუ-  
ლი, მხატვრული და სხვა ფასეულობის  
უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის  
შესახებ;
- პ) მხარეები–სარჩელებზე მატერიალური  
ზარალის ანაზღაურების შესახებ,  
რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის  
უკანონოდ გასამართლების, მისი სისხ-  
ლის სამართლის პასუხისგებაში უკანონ-

- ოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;
- ჟ) იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები – საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;
- რ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე – სარჩელებზე გარემოს გაჭუჭყიანებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;
- ს) ვეტერანები, რომლებმაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;
- ტ) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო – სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;
- უ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე – სარჩელზე მინის დაცვის წესების შეუსრულებლობისა და მინის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;
- ფ) დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე;
- ქ) არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციები, როგორც მოსარჩელები ან მოპასუხეები, საქართველოს კანონმდებლობით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
- ღ) მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე – სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის

- მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;
- ყ) საქართველოს ეროვნული ბანკი – ყველა სარჩელზე;
  - შ) ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები-საკრედიტო კავშირები – კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირებისათვის დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაბრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე;
  - ჩ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური – „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
  - ც) მოსარჩელე – უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე;
  - ძ) მოსარჩელე – თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე;
  - ჭ) საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე – სარჩელზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების თაობაზე;
  - ხ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე – ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;
  - ჯ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, მისი ტერიტორიული ორგანოები, ასევე მისი მმართველობის სფეროში შემავალი სხვა ორგანოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, არქეოლოგიურ ობიექტებზე და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში კანონის დარღვევით წარმოებული მინის, სამშენებლო და სხვა სამუშაოების საკითხებზე.



## როგორ გავიგო, რა შემთხვევაში დამიბრუნდება ბაჟი სრულად ან ნაწილობრივ და ვის უნდა მივმართო?

### სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

მხარეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სრულად უბრუნდება თუ:

- ა. სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის (სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის) გამოხმობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;
- ბ. სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან;
- გ. სარჩელი განუხილველად დარჩა სხვა მიზეზით.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შემცირდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება;
- ბ. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის



ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად;

- გ. თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

ბაჟის დაბრუნების ან შემცირების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე (გადაწყვეტილებაზე) გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.

ბაჟის დაბრუნებისთვის საჭიროა მხარემ კანონიერ ძალაში შესული განჩინება (გადაწყვეტილება) და შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი წარადგინოს საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლთან ერთად.

## **რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება დამტკიცებული ფორმების შეუსაბამობას, მიიღებს თუ არა სასამართლო ჩვეულებრივი წესით შედგენილ საჩივარს?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

თუ სარჩელი, სააპელაციო საჩივარი ან საკასაციო საჩივარი არ არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით შედგენილი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს (აპელანტს, კასატორს) დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე (აპელანტი, კასატორი) დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის (სააპელაციო საჩივრის, საკასაციო საჩივრის) წარმოებაში მიღების შესახებ.



27

### რა სახის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ?

საქართველოს სსსკ-ის 208-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლებით გათვალისწინებულია სასამართლოში წესრიგის დამრღვევის პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, თუ პროცესში მონაწილე ან სხდომაზე დამსწრე პირი არღვევს წესრიგს, არ ემორჩილება სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას, ან გამოხატავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აჯარიმებს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, აძევებს სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან შესაძლებელია მისი დაპატიმრება 30 დღემდე ვადით.

28

### როდის შედის კანონიერ ძალაში გადაწყვეტილება?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

- პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:
- ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;
- ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსსკ-ის 602-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და ასევე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე.

## **რამდენ დღეში მივიღებ განაჩენს, განჩინებას და გადაწყვეტილებას?**

### **სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. უზენაესი სასამართლოსთვის აღნიშნული ვადა შეადგენს 1 თვეს. მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძ-

ველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადან-  
ყვეტილების ასლები არა უგვიანეს 3 დღისა  
განცხადების შემოტანიდან.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსსკ-ის 514-ე მუხლის თანახ-  
მად, განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვი-  
ანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალ-  
ტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა  
უგვიანეს 14 დღე-ღამისა, განაჩენის ასლი  
უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბრალმდებელს  
და მსჯავრდებულს ან გამართლებულს.  
პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი  
მისი მოთხოვნით გადაეცემა იმავე ვადაში.

30

### **ვის შეიძლება მივმართო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ?**

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს  
უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის  
განცხადებით, გადაწყვეტილების აღ-  
სრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარ-  
ტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო  
ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხ-  
ვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზო-  
ლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.  
განცხადების შეტანა გადაწყვეტილების  
განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ  
გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულე-  
ბული და თუ არ გასულა ვადა, რომლის  
განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება  
აღსრულდეს.

31

### **როგორ შეიძლება გავცნო განხილვაში არსებულ საქმეს? მაქვს თუ არა უფლება, საქმეში არსებულ ყველა მასალას გავცნო? სად და როგორ გადავიღო საქმის მასალების ასლები?**

მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის  
მასალებს, გააკეთონ ამონაწერი საქმის მა-  
სალებიდან, გადაიღონ ასლები, რისთვისაც  
წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ

სასამართლოს.

საქმის მასალების გაცნობასა და ასლების გადაღებას უზრუნველყოფს სასამართლო.

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

- ა) 4 და 5 ფორმატის ქალაქის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
- ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
- გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩანწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
- დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩანწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
- ე) ინფორმაციის ჩანწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;
- ვ) ინფორმაციის ჩანწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

## **როგორ ხდება საარქივო საქმიანობის გაცნობა და ასლების გადაღება? საქმიანი არამონაწილე პირს შეუძლია თუ არა საარქივო საქმის გაცნობა, ასლების გადაღება?**

საარქივო მასალების გაცნობა და გადაღება (სხვა პირებისათვის) ხდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს ნებართვით და გაიცემა დამუშავებული სახით, თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა.



33

### **რატომ არ შეიძლება, მხარე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერაზე გაეცნოს სხდომის ოქმს შენიშვნებისთვის?**

ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის სხდომის ოქმი, იურიდიული ძალის მქონეა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის შემდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის მიერ სხდომის ოქმის გაცნობა შენიშვნების გასაკეთებლად შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს სხდომის მდივნისა და სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) ხელმოწერის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეებზე 5 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე - 3 დღე-ღამის განმავლობაში.

34

### **რა ვადაში მიეძღვნა საქმე აღსასრულებლად?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერი ძალაში შესვლის შემდეგ. გარდა ამისა, სსსკ-ის 268-ე, 269-ე მუხლების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

35

### **რამდენ დღეში მივიღებ სააღსრულებო ფურცელს?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსკ-ის 267-ე მუხლის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს გადანყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უნდა მოხდეს მხარის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

## **მხარის, როგორც საპატიო, ისე არასაპატიო მიზეზით გამოცხადებლობის შემთხვევაში, შეიძლება თუ არა მინდობილობით მისი ახლოზღის პროცესზე გამოცხადება?**

36

### **სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

მხარეს უფლება აქვს, თავისი საქმე სასამართლოში აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები დამონმებული უნდა იყოს სსკ-ის 96-ე მუხლის დაცვით.

პირველი ინსტანციის სასამართლოში არ არის სავალდებულო, რომ წარმომადგენელი იყოს ადვოკატი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია, უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს

მხარის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მინდობილობით მისი ახლობლის პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას.

**აუცილებელია თუ არა პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატის მონაწილეობა? შეიძლება თუ არა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უფლების დაცვა ადვოკატის საშუალებით?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

სასამართლო პროცესისათვის ადვოკატის აყვანა აუცილებელი არ არის, თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მას გააჩნია საკმარისი ცოდნა იმისათვის, რათა სათანადოდ დაიცვას საკუთარი უფლებები. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია უფლების დაცვა ადვოკატის საშუალებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოში არ არის სავალდებულო, რომ წარმომადგენელი იყოს ადვოკატი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია, უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

იმ შემთხვევაში, თუ პირი გადაწყვეტს, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში თავისი ინტერესები დაიცვას წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი.

**სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის თანახმად, ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ, მთელი პროცესის მანძილზე უარი თქვან დამცველის



დანიშვნაზე ან დანიშნულ დამცველზე და მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით ან დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ თვით ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის ინიციატივით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ, შეცვალონ თავიანთი პოზიცია და კვლავ მოითხოვონ დამცველის დანიშვნა ან მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის მოთხოვნა საქმეში მონაწილე მათი დამცველის შეცვლის ან ახალი დამცველის მონვევის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის შეცვლა, ანდა ახალი დამცველის მონვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროცესის მწარმოებელ ორგანოს უფლება არა აქვს, მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე. ეს შემთხვევებია:

- ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის არასრულწლოვნება;
- ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი ან ფსიქიკური დაავადება, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;
- ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- განიხილება პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო—ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი;
- ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესთა შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
- დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარ-

ჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი;

- ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება;
- თუ განსასჯელი ან მსჯავრდებული არასაპატიო მიზეზით თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.

## **რა შემთხვევაში და პროცესის რომელ სტადიაზე შეიძლება მოსამართლის აცილება?**

**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

მხარეებს შეუძლიათ, წერილობით განაცხადონ აცილება, რომელიც უნდა იყოს მოტივირებული და გაკეთდეს საქმის წინასწარი განხილვისთვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

**მოსამართლის აცილების საფუძვლებია:**

ა. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სხვა ინსტანციის სასამართლოში;

ბ. სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას;

მოსამართლემ ასევე არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის

განხილვაში, თუ ის:

- ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელ-იც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ნათესავეებად ითვლებიან:

- ა) მეუღლე;
- ბ) დანიშნული;
- გ) პირდაპირი ხაზის ნათესავეები;
- დ) და-ძმა;
- ე) დისშვილები და ძმისშვილები;
- ვ) მშობლების და-ძმები;
- ზ) დანათესავებულები (მოყვრები);
- თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

### **სისხლის სამართალწარმოებაში:**

საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში თუ:

- იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;
- საქმე არ არის სასამართლოს განსჯადი;
- იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, მოწმე ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი;

- მას ამ საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან ნათესაური, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს;
- ზემოაღნიშნულ პირებს ნათესაური ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან;
- არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში;
- იგი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სხდომის მდივანი.
- მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებში ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ საქმის განხილვაში.

მოსამართლის მიმართ აცილების დაყენება მხარეებს შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე.

### **სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:**

მოსამართლის მიმართ აცილების დაყენება მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ ჩამოთვლილი საფუძვლებით. სხვა საფუძვლით მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება დაუშვებელია.

მოცემულ გზამკვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ერთპიროვნულად ავტორების საკუთრებაა და ყოველთვის არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მოსაზრებებს.